სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2026 წელი

სარჩევი

შესავალი 3

1. პროგრამის მიზანი 4

2. პროგრამის შედეგი 4

3. პროგრამის განხორციელების ვადა, გავრცელების არეალი და ბიუჯეტი 4

4. პროგრამის აღწერა 4

4.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა 5

4.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა 6

4.2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები 7

4.2.2. შეფასების კრიტერიუმები 8

4.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა 15

5. პროგრამის მონიტორინგი 15

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. დევნილთათვის, ისევე, როგორც ეკომიგრანტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მათი უზრუნველყოფა საარსებო წყაროებით, რომელიც გულისხმობს „ადეკვატურ და მდგრად ხელმისაწვდომობას შემოსავლებზე და რესურსებზე საბაზისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის ადეკვატური ხელმისაწვდომობა საკვებზე, სასმელ წყალზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, საცხოვრებელზე და თემის ცხოვრებაში მონაწილეობასა და სოციალურ ინტეგრაციაზე).“[1] საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.

დევნილთა და განსახლებულ ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

წინამდებარე პროგრამა განკუთვნილია დევნილებისათვის, ასევე, იმ ეკომიგრანტი ოჯახებისათვის, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოფილი არიან გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით (შემდგომში - ეკომიგრანტი).

[1] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისა და საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის მიზნით საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია“

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე და მეორე მხრივ, მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის წახალისება და შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის კონკრეტული მიზანია, დევნილებისა და განსახლებული ეკომიგრანტებისთვის სასათბურე მეურნეობების მოწყობა.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 50-მდე საგრანტო განაცხადი და თითოეული ბენეფიციარისათვის მოეწყობა სასათბურე მეურნეობა.

3. პროგრამის განხორციელების ვადა, გავრცელების არეალი და ბიუჯეტი

პროგრამა ხორციელდება 2026 წელს და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 550 000 ლარს, სააგენტოსათვის კანონმდებლობის შესაბამისად, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან.

2025 წლის პროგრამის ბენეფიციარებისთვის (5 ბენეფიციარი) დარჩენილი სასათბურე მეურნეობების მოწყობა განხორციელდება ამ პროგრამის N1 დანართით გათვალისწინებული პროექტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2026 წელს სააგენტოსთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებებიდან.

4. პროგრამის აღწერა

დევნილები და განსახლებული ეკომიგრანტები, პროგრამის პირობების გათვალისწინებით, მიიღებენ მხარდაჭერას სასათბურე მეურნეობების მოწყობის გზით. სასათბურე მეურნეობა გულისხმობს გვირაბის ტიპის სასათბურე კონსტრუქციის, სასათბურე ფირის, სარწყავი სისტემის, ფართის შესაბამისი ვენტილაციის ერთობლიობას. სასათბურე მეურნეობები მოწყობილი იქნება პროექტების შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის პროგრამას **N1 დანართის** სახით. სათბურები აშენდება გათბობის სისტემის მოწყობის გარეშე.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი ზომისა და ფორმის სათბურების მოწყობა: 80 კვ.მ. (სათბურის ფორმა: 8მ * 10მ); 120 კვ.მ. (სათბურის ფორმა: 10მ * 12მ; 8მ * 15მ); 160 კვ.მ. (სათბურის ფორმა: 8მ * 20მ).

სათბურის ზომას თავად ირჩევს განმცხადებელი საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გათვალისწინებით. გამარჯვებული ბენეფიციარისთვის მოეწყობა მოთხოვნის შესაბამისი ზომის სათბური.

გამარჯვებულმა ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს სათბურში სარწყავი სისტემის მოწყობა. ასევე, ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, წყლის რეზერვუარის მოსაწყობად საჭირო ნივთების შეძენა. აგრეთვე, შრომითი და სხვა თანამონაწილეობა, რომელიც საჭიროა სასათბურე მეურნეობის წარმართვისათვის, უნდა შესრულდეს ბენეფიციარის მიერ.

პროგრამის ფარგლებში, ყველა სხვა ტიპის ინვესტიციის დაფინანსება, გარდა სასათბურე მეურნეობების მოწყობისა, ითვლება მიუღებელ ინვესტიციად და არ განიხილება.

სათბურში მოსაყვანი კულტურები შეზღუდული არ არის და განმცხადებელს, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეუძლია თვითონ გააკეთოს არჩევანი. ამასთანავე, განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული კულტურების სასათბურე მეურნეობის პირობებში მოყვანა უნდა იყოს რეალური და განხორციელებადი, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს პირი, თუ მას ან მის ოჯახის წევრს სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში, მოწყობილი აქვს სასათბურე მეურნეობა ან 2022 და შემდგომ წლებში, გამოვლენილია გამარჯვებულად სააგენტოს საგრანტო/სუბსიდიის პროგრამის ფარგლებში (გარდა „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“) მინიმუმ ერთხელ მაინც.

ოჯახიდან შეიძლება მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადის წარმოდგენა.

4.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება საგრანტო განაცხადების მიღების ვადა. ვადის დარღვევით, წარმოდგენილი განაცხადები განუხილველად იქნება დატოვებული.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დევნილმა და განსახლებულმა ეკომიგრანტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი **(დანართი N2)** და სავალდებულოდ მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართზე:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა;
2. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
3. ქ. რუსთავი, მე-17 მ/რ, N20 ა (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა);
4. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;

5. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

შესაძლებელია შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი, თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად დასკანერებული სახით გამოგზავნილ იქნეს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge . (მიღებულად მიიჩნევა განაცხადი, რომლის მიღებაც დადასტურებულია იმავე ელფოსტაზე გაგზავნილი სააგენტოს პასუხით).

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლის პირადობის ან პასპორტის ასლი;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში და სადაც უნდა მოეწყოს სასათბურე მეურნეობა (გამარჯვებულ განმცხადებელს დაევალება განახლებული ამონაწერის წარმოდგენა);
3. იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს სასათბურე მეურნეობა წარმოადგენს განმცხადებლის ოჯახის წევრის საკუთრებას და ეს პირი არ ფიქსირდება სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით განმცხადებლის ოჯახის წევრად, წარმოდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება განმცხადებლის და ამ პირის ერთად ცხოვრების-ერთი ოჯახის წევრობის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილობრივი **მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა** ან/და თუ განმცხადებელი და მიწის მესაკუთრე არიან მეუღლეები - **ქორწინების მოწმობა** ან/და მიწის მესაკუთრის სახელზე გაცემული **საინფორმაციო ბარათი** სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, სსიპ - იუსტიციის სახლიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ, სადაც ასახული რეგისტრაციის მისამართი და განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი იქნება ერთიდაიგივე ადგილი).
4. ვეტერანის მოწმობა - იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის ვეტერანი და სურს აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნეს განაცხადის შეფასების დროს;
5. არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობები.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან/და საგრანტო განაცხადის შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

4.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების სამმართველო (შემდგომში -

სამმართველო) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია წინამდებარე პროგრამისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

სამმართველო უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

სამმართველო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს სამმართველო დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და/ან ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

სამმართველო არ გადასცემს საგრანტო კომისიას განაცხადს განსახილველად და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

4.2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს სამმართველო:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად (გასაგებადაა მოწოდებული სასათბურე მეურნეობის წარმოების შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია) და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია;
2. სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, განმცხადებელი არის დევნილის სტატუსის მქონე ან განსახლებული ეკომიგრანტი; ამასთან, ეკომიგრანტი არ უნდა ცხოვრობდეს დაზარალების ადგილას.
3. განაცხადის წარმოდგენის დღისთვის, განმცხადებელი არის 2 ან მეტი არასრულწლოვანი შვილის მშობელი;

4. განმცხადებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მიწის ნაკვეთი, სადაც გამარჯვების შემთხვევაში, უნდა მოეწყოს სასათბურე მეურნეობა არის საკარმიდამო;
5. განმცხადებელს ან მის ოჯახის წევრს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის მოწყობა. ამასთან, განმცხადებელი/ოჯახის წევრი ამ ნაკვეთის მესაკუთრედ/თანამესაკუთრედ რეგისტრირებული უნდა იყოს პროგრამის ფარგლებში, განაცხადების მიღების ვადის გამოცხადებამდე. ასევე, საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი საკმარისი უნდა იყოს განმცხადებლის მიერ შერჩეული ზომის სათბურის მოსაწყობად;
6. საგრანტო განაცხადი ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობის მოწყობას;
7. განმცხადებელს ან მის ოჯახის წევრს, სააგენტოს ამავე პროგრამის ფარგლებში, არ აქვს მოწყობილი სასათბურე მეურნეობა;
8. განმცხადებელი ან/და მის ოჯახის წევრი 2022 და შემდეგ წლებში, არ არის დაფინანსებული - არ არის გამარჯვებულად გამოვლენილი („პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ გარდა) სააგენტოს საგრანტო/სუბსიდიის პროგრამების ფარგლებში;
9. განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში, **არ არის დაფინანსებული** 3 000 და მეტი ლარის ღირებულებით (ჯამურად);
10. განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი **არ არის დაფინანსებული** სააგენტოს ან/და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, 10 000 ლარის და მეტი ღირებულებით (ჯამურად);
11. წარმოდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება არ ეწინააღმდეგება გრანტის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობას;
12. განმცხადებელს/მის ოჯახს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არ უფიქსირდება 3 ჰექტარი და მეტი ზომის მიწის ნაკვეთი.

პროგრამის მიზნებისათვის, ოჯახი არის პირთა ერთობლიობა, რომლებიც ერთ საცხოვრებელ მისამართზე ცხოვრობენ და ეწევიან ერთიან შინამეურნეობას. ოჯახის წევრი არის პირი, რომელიც ცხოვრობს განმცხადებელთან ერთად, აღნიშნული უნდა იყოს ასახული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში (დევნილთა /ეკომიგრანტთა ბაზა) ან/და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის/რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი პირის რეგისტრაციის შესახებ; ქორწინების მოწმობა).

4.2.2. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, საგრანტო განაცხადები, რომლებიც დააკმაყოფილებენ პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ფასდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით. იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა დაფინანსებისთვის განსაზღვრულ რაოდენობაზე მინიმუმ სამჯერ მეტმა, შეფასებული განაცხადები შესაძლოა

წარედგინოს პროგრამის ფარგლებში შექმნილ საგრანტო კომისიას (შემდგომში - კომისია), რომელიც წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობისა და არსებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ადგენს მინიმალური ქულის ზღვარს, საიდანაც განაცხადი დაექვემდებარება მონიტორინგსა და დამატებით შესწავლას, სხვა შემთხვევაში, ყველა განაცხადი დაექვემდებარება მონიტორინგს. მინიმალური ქულის განსაზღვრის შემთხვევაში, განაცხადებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ა) პირველადი შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	ქულა
1	**თუ განმცხადებელი არის:** (რამდენიმე კრიტერიუმის არსებობისას იკრიბება შესაბამისი ქულები)	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და მისი სარეიტინგო ქულაა 120 001 ქულამდე - 1,5 ქულა
		ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის) – 1 ქულა
		ქალი - 0,5 ქულა
		ვეტერანი - 0,5 ქულა
		არცერთი ჩამონათვალიდან - 0 ქულა
2	**მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა მოეწყოს სასათბურე მეურნეობა არის:**	განმცხადებლის ერთპიროვნული საკუთრება - 1
		განმცხადებლის თანასაკუთრება - 0.5
		ოჯახის წევრის საკუთრება/თანასაკუთრება - 0,25
3	**მიღებული სარგებელი** სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების (3 000 ლარამდე ღირებულების) და სააგენტოს ან/და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში (10 000 ლარამდე ღირებულების)	განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს მიღებული არ აქვს სარგებელი ნატურის სახით - 10 ქულა
		განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით, რომლის ღირებულება არ აღემატება 2 000 ლარს - 5 ქულა

		განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით, რომლის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს - 0 ქულა.
	მაქსიმალური ქულა:	**14.5**

მინიმალური ქულის დაწესების შემთხვევაში, განაცხადებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პირველადი შეფასების კრიტერიუმით შეფასებული გარემოება არ დადასტურდა, მონიტორინგის შედეგის გათვალისწინებით, დაკორექტირდება შეფასების პირველ ეტაპზე მინიჭებული ქულა.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, სამმართველო წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და გამოავლენს გამარჯვებულებს. საგრანტო კომისიას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე აქვს უფლებამოსილება დააკორექტიროს განმცხადებლის მოთხოვნილი სათბურის ზომა, იმ შემთხვევაში თუ:

1. თავისუფალი მიწის ფართი არ არის საკმარისი მოთხოვნილი ზომის სათბურის მოსაწყობად;
2. განმცხადებელს, მისი გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა არ ჰქონდეს მოთხოვნილი ზომის სასათბურე მეურნეობის სრულყოფილად ათვისების/გამოყენების უნარი/შესაძლებლობა;
3. არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომლის გათვალისწინებითაც, უმჯობესი იქნება მოთხოვნილისგან განსხვავებული ზომის სასათბურე მეურნეობის მოწყობა.

კომისია უფლებამოსილია შერჩევის პროცესში უპირატესობა მიანიჭოს ბიუჯეტურ პროექტებს, რათა შესაძლებელი იყოს არსებული ფინანსური ასიგნებების ფარგლებში შედარებით მეტი შინამეურნეობის დაფინანსება.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით თითოეულ შეფასების კრიტერიუმზე დაიწერება შესაბამისი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილ ქულას, აღნიშნულის თაობაზე აისახება ოქმში.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმები	განმარტება	ქულა
საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობა			
1	**განმცხადებელის/მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობა**	არ აქვს ან აქვს მცირე ზომის სათბური (იგულისხმება საჩითილე, ხელნაკეთი, გაუმართავი სათბური)	1
		აქვს 80 კვ.მ. -ზე დიდი ზომის სათბური, გამართული, მუშა მდგომარეობაში ან სათბური, რომელსაც არ იყენებს მიზნობრივად.	0
თუ განმცხადებელმა შეფასების პირველ კრიტერიუმში (საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობა) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.			
მიწის გამოსადეგობა			
2	**სასათბურე მეურნეობისათვის და შემოთავაზებული საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოსადეგობა (საკმარისი ფართი სათბურის მოსაწყობად, ხომ არაა დაფერდებული, ქვიანი, დაჭაობებული, დაკავებული მრავალწლიანი ნერგებით, შენობა ნაგებობით და ა.შ.)**	კომისიის შეფასებით, არსებული მდგომარეობით მიწა გამოსადეგია.	3
		კომისიის შეფასებით, მიწის გამოსადეგობამდე მისაყვანად საჭიროა დამატებით სამუშაოების ჩატარება (გაწმენდა, დადრენაჟება, მრავალწლიანი ნერგების ამოძირკვა, ქვებისგან გაწმენდა და ა.შ.).	1 - 2
		კომისიის შეფასებით, არსებული მდგომარეობით წარმოდგენილ მიწის ნაკვეთი არასაკმარისია სათბურის მოსაწყობად ან მისი გამოსადეგ მდგომარეობამდე მიყვანა არარეალურია.	0
თუ განმცხადებელმა შეფასების მეორე კრიტერიუმში (მიწის გამოსადეგობა სათბურის მოსაწყობად) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.			
საჭირო პირობები			
3	**სასათბურე მეურნეობისთვის საჭირო წყლის რესურსი**	აქვს	2
		აქვს გრაფიკით, ნაწილობრივ/სეზონურად	1
		არ აქვს	0
4	**ელექტრიფიცირება**	ადგილზე არის დენის წყარო	2
		ადგილზე არ არის დენის წყარო	0
5	**შემოღობვა**	სრულადაა შემოღობილი ან არ საჭიროებს	2
		ნაწილობრივაა შემოღობილი	1
		არაა შემოღობილი	0

თუ განმცხადებელმა შეფასების მესამე ან მეოთხე ან მეხუთე კრიტერიუმში (გასარწყავიანება, ელექტრიფიცირება, შემოღობვა) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.			
გამოცდილება, ცოდნა, უნარი			
6	**გამოცდილება სასათბურე მეურნეობის წარმართვისთვის, ცოდნა, უნარი გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და წარმატებით საქმიანობისთვის**	განმცხადებელს/ოჯახს აქვს ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა, სამუშაო გამოცდილება, რომელიც საკმარისია სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის.	3
		განმცხადებელს აქვს ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა სამუშაო გამოცდილება, რომელიც შესაძლოა არ იყოს საკმარისი საქმიანობის განხორციელებისათვის.	1
		განმცხადებელს არ აქვს სათანადო ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა, სამუშაო გამოცდილება საქმიანობის წარმართვისთვის.	0
განხორციელებადობა - მდგრადობა			
7	**სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელებადობა, მდგრადობა, საქმიანობის ადგილი, მოყვანილი კულტურების გამოყენება, გასაღების ბაზარი; პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით და სხვა.**	განმცხადებლის/ოჯახის შეფასებისას იკვეთება, რომ სასათბურე სამეურნეო საქმიანობა განხორციელებადია, გამომდინარე განმცხადებლის/ოჯახის გამოცდილებიდან, საქმიანობისათვის საჭირო უნარიდან, გარემო პირობებიდან და ა.შ. დაგეგმილია სათბურში მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია და განმცხადებელს/მის ოჯახს გააზრებული აქვთ გასაღების ბაზარი, მოსალოდნელი ხარჯები და შემოსავალი, იციან ვინ იქნება მათი პოტენციური მომხმარებელი, იცნობენ კონკურენტებს და გააზრებული აქვთ, როგორ დაიმკვიდრონ თავი სამიზნე გარემოში. ასევე, განმცხადებლის/მისი ოჯახის გათვლები მოთხოვნა-მიწოდების ციკლთან მიმართებაში რეალურია.	4-5
		განმცხადებლის/ოჯახის შეფასებისას იკვეთება, რომ სასათბურე სამეურნეო საქმიანობა განხორციელებადია, გამომდინარე განმცხადებლის/ოჯახის გამოცდილებიდან, საქმიანობისათვის საჭირო უნარიდან, გარემო პირობებიდან და ა.შ. არ არს დაგეგმილი სათბურში მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია.	3-4

		განმცხადებლის/ოჯახის შეფასებისას იკვეთება, რომ სასათბურე სამეურნეო საქმიანობა მეტნაკლებად განხორციელებადია, გამომდინარე განმცხადებლის/ოჯახის გამოცდილებიდან, საქმიანობისათვის საჭირო უნარიდან, გარემო პირობებიდან და ა.შ. იდეა მეტნაკლებად რეალურია და შესაძლოა სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელება დამატებითი კონსულტაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სათბურში მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია, განმცხადებელს/მის ოჯახს არასრულყოფილი წარმოდგენა აქვთ გასაღების ბაზართან, მოსალოდნელი ხარჯებთან და შემოსავალთან, პოტენციურ მომხმარებელთან, კონკურენტებთან და სამიზნე გარემოში თავის დამკვიდრების გზებთან დაკავშირებით. ან განმცხადებლის/მისი ოჯახის გათვლები მოთხოვნა-მიწოდების ციკლთან მიმართებაში ნაკლებად რეალურია.	2-3
		განმცხადებლის/ოჯახის შეფასებისას იკვეთება, რომ სასათბურე სამეურნეო საქმიანობა არ არის განხორციელებადი გამომდინარე განმცხადებლის/ოჯახის გამოცდილებიდან, საქმიანობისათვის საჭირო უნარიდან, გარემო პირობებიდან და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სათბურში მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია, განმცხადებელს/მის ოჯახს გააზრებული არ აქვს გასაღების ბაზართან, მოსალოდნელ ხარჯებთან და შემოსავალთან, პოტენციურ მომხმარებელთან, კონკურენტებთან და სამიზნე გარემოში თავის დამკვიდრების გზებთან დაკავშირებული საკითხები. ან განმცხადებლის/მისი ოჯახის გათვლები მოთხოვნა-მიწოდების ციკლთან მიმართებაში ზედმეტად გადაჭარბებულია.	0

რისკები			
8	**საქმიანობის წარმატებით განხორციელების რისკები** *(გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემო პირობები, განმცხადებლის ფიზიკური შესაძლებლობა, დრო დაგეგმილი საქმიანობისთვის, გეოგრაფიული არეალი და სხვა)*	კომისიის შეფასებით, გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი არ არის/უმნიშვნელოა.	5
		კომისიის შეფასებით, გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი არსებობს და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროექტის განხორციელებას.	2
		კომისიის შეფასებით გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი მაღალია და პროექტის განხორციელება საეჭვოა.	0
სარგებელი			
9	**სასათბურე მეურნეობიდან მიღებული სარგებელი - ზეგავლენა განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე**	განმცხადებლის მოწყვლადობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარდაჭერას არსებითი გავლენა ექნება განმცხადებლის საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით	5
		განმცხადებლის მოწყვლადობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარდაჭერას მეტნაკლებად გავლენა ექნება განმცხადებლის საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით, შესაძლებელია ხარჯების შემცირება ან/და დამატებითი შემოსავლის მიღება	2
		განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარდაჭერას არსებითი გავლენა არ ექნება განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მხარდაჭერის გარეშეც შეუძლია საქმიანობა.	0
		მაქსიმალური ქულა:	**28**

გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე განმცხადებლები (ჯამდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით და წინამდებარე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების შედეგად მიღებული ქულები).

4.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჩივრდება სასამართლოში. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე, განმცხადებლის სახელისა და გვარის მითითებით, ასევე, განმცხადებელს ეცნობება წარმოდგენილ საგრანტო განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ამასთან, განმცხადებელი უფლებამოსილია აქტის ჩაბარების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს.

განმცხადებლების გამარჯვებულებად გამოვლენის შემდეგ, თითოეული გამარჯვებული ვალდებულია სამმართველოს წარუდგინოს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის მოწყობა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან იმ შემთხვევაში, თუ განახლებული ინფორმაციით, მიწის ნაკვეთი არ ფიქსირდება გამარჯვებულის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში, ან მიწის ნაკვეთი დაყადაღებულია, უქმდება გადაწყვეტილება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ.

სააგენტოსა და გამარჯვებულებს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, თუკი გამოვლენილ გამარჯვებულ განმცხადებელთან რაიმე მიზეზის გამო ვერ ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება ან გამოვლინდება გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, სააგენტო უფლებამოსილია მომდევნო ყველაზე მაღალი ქულის განმცხადებელთან გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

გამარჯვებული ვალდებულია სასათბურე მეურნეობა გამოიყენოს პროგრამის შესაბამისად, ეწეოდეს სასათბურე მეურნეობას სასათბურე მეურნეობის მოწყობიდან (სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის სათბურის გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების თარიღის გათვალისწინებით) არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

5. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 3 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო

პირველად მონიტორინგს განახორციელებს შერჩეულ განმცხადებლებთან. შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს გრანტის ფარგლებში მოწყობილი სასათბურე მეურნეობების მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.